# ფან-კლუბი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟურნალ ოსკარის დამატება # 7 ფ. 40 თ









## შეხვდი ქუჩის ,,ბიჭებს,, პირისპირ

ჩაწერს თუ არა დუეტს ,,უცნობი,, თავის შვილთან

რომელი საჩუქარი დაამახსოვრდა ყველაზე მატად კახა ცისკარიძეს

რამდენი წლისაა ნიკა ლომიძე

სად გადაიხადა დაბადების დღე ლელა წურწუმია



## რა ხდება ქეთა თოფურიასა და დათო ხუჯაძეს შორის

# კითხვა-პასუხი

**რ**ომელ ქუჩაზე ცხოვრობს ლელა?
მარიამ ჩილოშვილი



– ლელა ქავჭავაძის გამზირზე ცხოვრობს.

**ზ**ურა, მაინტერესებს ყოველ შაბათ-კვირას დადიხართ სიონში შენ და პაატა?
ნინო, 16 წლის.



ზურა: – კი, მე და პაატა სიონში ერთად დავდივართ შაბათ-კვირას

**ს**ად შეიძლება ჩემი უსაყვარლესი მომღერლის - სტეფანეს გაცნობა?
დემურ ფილიევი



სტეფანე: – ალბათ, იმ კონცერტებზე, სადაც გამოვდივარ.

**ვ**ინ არიან დათო ხუჯაძის მეგობრები?



დათო: – ბავშვობის მეგობრები, საერთოდ, ბევრთან ვმეგობრობ.

**რ**ამდენი წლისაა ქეთი მერკვილაძე?
სოფიკო, 13 წლის



– ქეთი 25 წლისაა.

**ჩ**აწერს თუ არა „უცნობი" თავის ქალიშვილთან დუეტს?
რუსიკო



„უცნობი": – არა, ირინესთან დუეტს არ ჩავწერ.

**მ**ართალია ქეთასა და დათოს ურთიერთობა?
რუსი, 12 წლის



– ამაზე ზუსტ პასუხს არც ქეთა ამბობს და არც დათო. ენახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები.

**ვ**ინ გადაიღო რუსასა და ნათია გოგიტიძის კლიპი?



– რუსას სიმღერაზე „ნუ შეგაშინებს დრო" კლიპი გადაიღო ზაზა ორაშვილმა.

**მ**აინტერესებს როგორი გოგონები მოსწონს „ბახალას"?
ნინი



„ბახალა": – ყველანაირი, მიმზიდველი, ქერაც, შავგვრემანიც, ემხიანებიც...

**რ**ა სუნამოს ხმარობს ლაშა კუკულაძე?



ლაშა: – მე ვხმარობ „შისეიდოს".

**რ**ამდენი წლისაა ნიკა მემანიშვილი?
გვანცა, 12 წლის



– ნიკა, 24 წლისაა.

**მ**აინტერესებს, ფანების ნაჩუქარი საჩუქრებიდან ყველაზე ძალიან რომელი მოეწონა კახუჩელას და რომელი დაამახსოვრდა?



კახა: – ყველაზე მეტად დამამახსოვრდა ნინო ბარბაქაძის მიერ ნაჩუქარი ხატი.

**თ**უ უყვართ ..ქურის ბიჭებს ... ლამის „ტუსოვკები"?
ლია, 20 წლის



პაატა: – იცით რა, გვიყვარს ლამის „ტუსოვკები", მაგრამ გარკვეული დოზით. ჩვენ უფრო კარგად ვგრძნობთ თავს მეგობრების გარემოცვაში.

**ჰ**ყავთ თუ არა შეყვარებულები ჯგუფ „ემის" გოგონებს?
დათო, 12 წლის



ია: – არა, არც ერთს არ გვყავს შეყვარებული, ჯერ სიყვარულისთვის ვერ ვიცლით.

**ჰ**ყავს თუ არა მენეჯერი გიგა კვენეტაძეს?
ლაშა კუტალაძე



– არა, გიგას არ ჰყავს მენეჯერი.

**ჰ**ყავს თუ არა შეყვარებული თაზო გუგეშაშვილს („სთეისი") და საერთოდ, როგორი გოგონები მოსწონს?
ნინო, 18 წლის



თაზო: – მე შეყვარებული არ მყავს. რაც შეეხება გოგონებს, მომწონს ჩემზე მაღალი გოგონები.


გაზეთი "ფან-კლუბი" ჟურნალ "ოსკარის" დამატებაა.
რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. ჟურნალში მოყვანილი ჭორებისა და კულუარული ინფორმაციის შესახებ რედაქცია პასუხს არ აგებს.

მთ. რედაქტორი: ნოდარ მელაძე.
რედაქტორის მოადგილე: თამუნა გონგაძე.
ჟურნალისტები: ნინო კუტალაძე, თამთა მჭედლიშვილი.



გაზეთში გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვის შემთხვევაში „ფან-კლუბის" მოხსენიება აუცილებელია.

# კითხვა-პასუხი

**კ**ითხულობენ თუ არა „სთეისის“ ბიჭები ფანების წერილებს?
მარი



ლაშა: – ვკითხულობთ, როგორ არა, ჩვენ ხომ ფანებთან კონტაქტით ვსულდგმულობთ.

**ქ**ეთა თოფურიას მუდმივი დიზაინერი ჰყავს? ვინ არის იგი?
თამუნა, 12 წლის



– ქეთა თანამშრომლობს ტატუნა ნიკოლაიშვილთან, ავთო ცქვიტინიძესთან, ზალიკო ბერგერთან, ასე რომ მას ერთი მუდმივი დიზაინერი არ ჰყავს.

**რ**ამდენი წლისაა ნიკა ლომიძე?



ნიკა: – მე 28 წლის ვარ.

**მ**ართალია თუ არა, რომ ზურა ხაჩიძეს ქუჩაში გამვლელი გოგონა მოეწონა?
თამთა, 15 წლის



– ეს რა თქმა უნდა მართალია, თავად ზურამ მოგვითხრო ეს ისტორია.

**მ**აინტერესებს „მამულიჩას“ ძმა, ირაკლი რამდენი წლისაა და რა ფაკულტეტი დაამთავრა.
ეკა, 15 წლის



„მამულიჩა“: – ირაკლი 27 წლისაა და დაამთავრა ეკონომიური ფაკულტეტი.

**რ**ოდის გამოვა სტეფანეს III ალბომი?
ლიკა, 14 წლის



– სტეფანე ამჟამად III ალბომზე მუშაობითაა დაკავებული, რომელიც გაზაფხულზე გამოვა.

**ს**ად გადაიხადა ლელამ იუბილე?
თამუნა, 12 წლის



– ლელა თავის დაბადების დღეზე ამერიკაში იმყოფებოდა. სასტუმრო „მერიოტმა“ მომღერალს მიულოცა დაბადების დღე, მიიღო თაიგული, თავად ლელამ ვიწრო წრეში აღნიშნა იუბილე.

**რ**ამდენი კაცისგან შედგება „ფან-კლუბის“ კოლექტივი?
დალი მუზაშვილი

– „ფან-კლუბის“ კოლექტივი შედგება ცხრა კაცისგან.

**მ**აინტერესებს ზურა ხაჩიძის ზედმეტსახელი.



– ზურას არა აქვს ზედმეტსახელი.

**რ**ა ცხოველები ჰყავს „ბახალას“ სახლში?
ნინო



„ბახალა“ – ძაღლი მომიკვდა, ისე ამჟამად მტრედები მყავს.

**რ**ამდენი წლისაა, რამდენი კგ-ია და რა სიმაღლისაა რუსა მორჩილაძე?
ნოდარ დუმბაძე



რუსა: – ვარ 33 წლის, 54 კგ და სიმაღლით 175 სმ.

**რ**ოგორი გოგონები მოსწონს პაატა ხაჩიძეს?
ანი, 12 წლის



პაატა: – ლამაზები, ჭკვიანები და ინტელექტუალურები.

## ჭორულა-ჭორულა ჭაბუკა

ელექტრონული ბიბლიოთეკა



აჩი ფურცელაძე დიდი ხნით ვერ ეგუება ტელეფონს, ანუ ორსამ თვეში იგი იცვლის მობილურს. ერთხელ ზღვამ შეიწირა დიჯეის ტელეფონი, მას შემდეგ ბევრჯერ გამოიცვალა აჩიმ ეს საჭირო სალაქლაქო აპარატი. რაც მთავარია, თანდათანობით უფრო და უფრო ძვირფასიან მობილურებს ადგამს თვალს. აი, ამჟამად რა ფირმისაა მისი ტელეფონი ვერ გეტყვით.



თურმე, დათო დოიაშვილი სასტიკი წინააღმდეგია, რომ მისი ცოლი სცენაზე ავიდეს. ქეთი პროფესიით მსახიობია, მაგრამ რეჟისორმა ქმარმა განაცხადა, რომ იგი ბუნებით მესაკუთრეა და თვლის, რომ ის, რაც მას ეკუთვნის, მხოლოდ მისია და არავისთან არ სურს გაყოფა. ამას ნამდვილად ვერ იფიქრებდით რეჟისორ კაცზე. აბა როგორ იქნებოდა, მსახიობი ცოლები ასე რომ ჩაეკეტათ ქმრებს სახლში? რას იზამდა მაშინ „დოი“?



„სეთის“ ყველაზე უმცროსი და ყველაზე მაღალი წევრი ნათია ნებიერიძე ძალიან ხშირად იცვლის თმის ფერს. მომღერალი ერთი პერიოდი შავი თმით დადიოდა, მერე უცებ ჩალისფერი ე.წ. მელირებით ვიხილეთ იგი. ფაქტი ერთია, რომ ყველა ფერის თმა ძალიან უხდება. აღსანიშნავია, რომ მომღერალი ისევ აპირებს თმის ფერის შეცვლას.



პარლამენტის

# ჭორულა-ჭორულა ამბები



როცა ბასა თავის სადიპლომო ნამუშევარს ილებდა ბათუმში, გადასალებ მოედანზე, რატომღაც რამდენიმეჯერ ჩაქვრა შუქი. აღმოჩნდა, რომ გამნათებელი ნასვამი იყო, თანაც უკვე მერამდენედ. იმ საღამოსვე გაირკვა გამნათებლის ბედი, იგი რეჟისორმა თბილისში გამოისტუმრა.



აღმოჩნდა, რომ სერიალ „ძილის წინ"-ის ერთ-ერთ მსახიობს, „მარიხუს" როლის შემსრულებელს მარიანა ნინიაშვილს ქუჩაში უამრავ კომპლიმენტს ეუბნებიან, ჩუქნიან თაიგულებს... ერთხელ, რესტორანში ქალი მიუახლოვდა, მარგალიტის ყელსაბამი მოიხსნა და უთხრა, – როგორც მსახიობს, უდიდეს პატივს გცემო. მარიანა არ ართმევდა საჩუქარს, მაგრამ ქალბატონის დაჟინებული თხოვნის შემდეგ, „მარიხუს" უარი ველარ გაუბედია. როგორც აღმოჩნდა, ეს ქალბატონი თენგიზ ჩანტლაძის მეუღლე – ზაირა ჩანტლაძე იყო.



მომღერალი ია ჩანტლაძე რადიო „უნივერსის" მუსიკალური წამყვანი რომ არის, ეს თქვენთვისაც ცნობილია. თურმე, იაკო თუ ცუდ ხასიათზეა, მისი გუნება-განწყობილების გამოსაკეთებლად მსმენელები ზრუნავენ. ისინი აქტიურად ეკონტაქტებიან მომღერალს, უკვეთავენ „ამგდებ" სიმღერებს, უყვებიან ისტორიებს და ცდილობენ მის გახალისებას.

## „მართალია ვერ გხედავ, მაგრამ წარმომიდგენია რა ლამაზი ხარ"

მინდა მივესალმო გაზეთ „ფან-კლუბს" ძალიან გამიხარდა მისი დაარსება. მიხარია, რომ მისი საშუალებით შემიძლია ჩემს "ბუკა" მანაგაძეს ვაგრძნობინო ჩემი სიყვარული და ვუთხრა, რომ ძალიან, ძალიან მიყვარს "ბუკა" და მისი შემოქმედება. "ბუკა" როგორ ხარ? იმედია კარგად, იცოდე, რომ ძალიან მიყვარხარ ჩემო სიცოცხლევ, ძალიან მიყვარხარ და შენი ფანიც ვარ. შენზე ვგიჟდები და ჭკუა მეკეტება, რატომ ხარ ასეთი კარგი? დიდი მადლობა დედაშენს იმიტომ რომ ამისთანა კარგი გაგზარდა, ძალიან დიდად ვაფასებ შენს სიმღერებს, შენ რომ მღერიხარ აზ-



რები მერევა და ვბოდავ – ვაიმე "ბუკა", უიმე "ბუკა"-მეთქი. იცი ძალიან გაფასებ, მე მჯერა რომ შენნაირი მომღერლები საქართველოს მართლა სჭირდება.

„მართალია ვერ გხედავ მაგრამ წარმომიდგენია რა ლამაზი ხარ"

მე ვფიქრობ, რომ საქართველოში ყველაზე კარგი ხელოვნებაა. "ბუკა" გილოცავ წინასწარ 8 მარტს და გისურვებ მრავალს დასწრებოდე. აბა კარგად.

დიდი სიყვარულით,
**ლელა ფილიევი**
*(სტილი დაცულია)*

## „წმინდა სიყვარული, ლოცვაა მარადი"

### *ლელა წურწუმიას დიდი სიყვარულით*



მოგესალმებით მთელ თქვენ კოლექტივს. დიდი მადლობა, რომ არსებობთ, რომ თქვენი არსებობით და ნიჭიერებით დაარსდა საინტერესო და მრავალი სიურპრიზით სავსე გაზეთი, რომელსაც ასევე ორიგინალური სახელი „ფან-კლუბი" ჰქვია. მინდა ვუსურვო თქვენს მკითხველებს დაბადებოდეს ორიგინალური კითხვები, რათა თქვენც ორიგინალურათვე უპასუხოთ. მინდა თქვენი გაზეთის საშუალებით დიდი სიყვარული და სითბო გამოვხატო, მართლაც და უმშვენიერეს ლელა წურწუმიას მიმართ.

ლელა, შენ ამქვეყნად უმშვენიერესი ადამიანი ხარ, მიყვარხარ და მწამს შენი. მართალია, პირადად არ გიცნობ, მაგრამ შენი ინტერვიუებიდან ჩანს, რომ შენ მართლაც თბილი და არაჩვეულებრივი ადამიანი ხარ. შენი ყოველი სიმღერა სიყვარულითაა სავსე და სიყვარულითვე ასრულებ ამ მართლაც და არაჩვეულებრივ სიმღერებს. მინდა იმ კომპოზიტორებს ვუსურვო დიდი წარმატება, რომლებიც შენი ლამაზი ხმისთვის წერენ სიმღერებს. მე შენი სიმღერების მიმართ არასოდეს ვყოფილვარ გულგრილი და არასოდეს ვიქნები, რადგან შენს შესრულებულ სიმღერებს, მართლაც ჰქვია სიმღერა. ლელა, ეს ალბათ ძალიან ბევრს უთქვამს შენთვის, მაგრამ მეც მინდა გითხრა, რომ შენ არაჩვეულებრივი ხმა და სასცენო მონაცემები გაქვს, რისი დამარწმუნებელიც არის შენი შემოქმედებითი ღონისძიებები და სოლო კონცერტები. მინდა გითხრა, რომ შენ არაჩვეულებრივი და ნიჭიერი მსახიობი და მოცეკვავე ხარ. შენ პირველი ქართველი მომღერალი ხარ, რომელსაც ცეკვა შეუძლია.

რატომ გავხდი პოპულარული? ჩემი აზრით ეს კითხვა ბევრ მომღერალს და მსახიობს უჩნდება. ლელა მინდა გითხრა, რომ იმიტომ გახდი პოპულარული, რომ შენ ღმერთმა უდიდესი ნიჭით დაგაჯილდოვა და ეს ჯილდო სიმღერაა. მადლობა ღმერთს, რომ არ ტოვებს ისეთ ადამიანებს, რომელსაც შეუძლია თავისი ნიჭი და ტალანტი გამოამჟღავნოს თავისი ხალხის, თავისი ერის წინაშე. მადლობა კიდევ იმ კომპოზიტორებს, რომელთა რეპერტუარი ჩავარდა იმ ადამიანის ხელში, რომელსაც ლელა წურწუმია ჰქვია. ლელა მე კვლავ მინდა გითხრა, რომ შენ არაჩვეულებრივი ვოკალის მქონე მომღერალი ხარ და დაე სულ მუდამ იგიზგიზოს შენში, ვოკალის ნიჭმა. ლელა, ცხოვრებაში, შემოქმედებაში დიდ სიხარულს, სიყვარულს და ბედნიერებას გისურვებ. გაზარდე შენი ერისთვის საკუთარი რეპერტუარი და დამიჯერე: შენ უფრო მეტად პოპულარული გახდები. ლელა მე შენ ძალიან მიყვარხარ და მეყვარები, შენს მრავალ საუკეთესო სიმღერასთან ერთად. დიდი მადლობა.

**„მე სავსე მაქვს შენზე**
**გული ტრფობით,**
**შენ არ გესმის ჩემი გულის**
**ძგერა,**
**ისე მარტოდ უხმოდ**
**ვიტანჯები**
**მიყვარხარ და თქმაც**
**ვერ გამიბედავს.**
**როგორც უნდა**
**დავიტანჯო მაინც,**
**განწირულს მე ვერ**
**მიშველი ვერა,**
**საწამლავი მე დავლიე**
**შენთვის**
**მხოლოდ ისმის გულის**
**უხმოდ ძგერა.**
**არც შენ გითქვამს ჩემთვის**
**ბოლო სიტყვა.**
**მკლავ და თითქოს შენ**
**ამოგდის მთვარე.**
**არც სიტყვები გემეტება**
**ჩემთვის**
**მაცოცხლებ და ორთავ**
**გავიხარებთ".**

გიო, 17 წლისა
*(სტილი დაცულია)*

# მუსიკალური ვიქტორინა

მათ, ვისაც ინტუიცია არ ღალატობს, ან შეუძლია ნოტების საშუალებით სიმღერის აწყობა, გაზეთი "ფან-კლუბი" აძლევს საშუალებას გაერთოს და ამასთანავე პრიზებიც მოიგოს. მოცემული ხუთი სიმღერიდან თქვენ უნდა გამოიცნოთ: პლაკატების ნაკრების მოსაგებად — სამი მათგანი, კალმისტრის მოსაგებად — ოთხი, ხოლო სუვენირის მოსაგებად — ხუთი სიმღერა. თქვენი პასუხები უნდა ჩაწეროთ ქვემოთ მოცემულ ბლანკში და გამოგზავნოთ მისამართზე: კოსტავას 14.

1. სიმღერა ცხენზე, რომელმაც თავის თავს სიკვდილის განაჩენი გამოუტანა.



2. სიმღერა ქვეყანაზე, სადაც მხოლოდ ყვავილებია.



3. სიმღერა ფრინველზე, რომელიც შემოდგომაზე მიფრინავს.



4. სიმღერა მარტოხელა ქალბატონზე, რომელსაც ოქროსფერი თმა აქვს.



5. აზერბაიჯანული სიმღერა, ქართული ვარსკვლავის შესრულებით.



მუსიკალური ვიქტორინა №7.

1 ______

2 ______

3 ______

4 ______

5 ______

გვარი, სახელი ტელეფონის ნომერი ______

# ჩემს უსაყვარლესა და ერთადერთ ლაშა კუკულაძეს!

ყოველთვის ძალიან დიდი სიმპათიით ვიყავი განმსჭვალული ჯგუფი „სთეისის" მიმართ განსაკუთრებით კი ლაშას მიმართ. არ ვიცი რატომ, მაგრამ ყოველთვის როდესაც ამ ჯგუფს ვუსმენ სიცოცხლის ხალისი მიბრუნდება. ძალიან მომწონს მათი საშემსრულებლო მანერა და ხმის ტემბრი. ლაშა პირველად სპორტის სასახლის ერთ-ერთ კონცერტზე ვნახე და მოვიხიბლე მისი ალნაგობით. ძალიან მომწონს მისი გარეგნობა. იგი ისეთი ლამაზია, რომ ზოგჯერ თვალსაც ვერ ვუსწორებ. ზოგჯერ ვფიქრობ რატომ იბადებიან ასეთი ლამაზი ბიჭები-მეთქი. განსაკუთრებით მომწონს მისი მეტყველი და ამავდროულად „ეშმაკობით" ალსავსე თვალები. კულისებში შევეჩეხე და თვალებში რომ ჩავხედე ცოტა არ იყოს და დავიბენი. მისი თვალები უძირო და კამკამა იყო. ვერ გავბედე მივსულიყავი და მეთქვა – „ლაშა ძალიან მიყვარხარ, მე შენი ფანი ვარ- მეთქი". საერთოდ თამამი გოგო ვარ, მაგრამ რატომლაც ლაშასთან შეხვედრამ დამაბნია და მეტყველების უნარი წამართვა. კულისებიდან თავბრუდახვეული დავბრუნდი და მთელი ღამე ლაშას თვალები მედგა თვალწინ. გათენდა თუ არა ფურცელი და კალამი ავილე და ლაშას ლექსი მივუძღვენი. ეს ლექსი დღემდე საწოლთან მაქვს გაკრული. ჟურნალ „ოსკარში" გამოქვეყნებული ლაშას პლაკატი, ხუთი ცალი შევიძინე და ჩემს ოთახში გავაკარი ხუთივე. დედაჩემი გაგიჟდა. ჩემს ოთახში შემოსული ყველა ადამიანი ერთი და იგივეს იძახდა: ვაიმე, ამდენი ლაშა რა ამბავიაო. რა თქმა უნდა ყურადღებას არავის ნათქვამს არ ვაქცევ. ძალიან მომეწონა „სთეისის" ახალი კლიპი, მიუხედავად



იმისა, რომ იგი ბევრმა დაიწუნა. მე ყოველთვის თვალ-ყურს ვადევნებ ჯგუფის შემოქმედებით ცხოვრებას. იმედია ოდესმე გავბედავ და გავიცნობ ჩემს საყვარელ მომღერალს.

ლაშას ფანი ეკუნა, 14 წლის

*(სტილი დაცულია)*

## ჭრელა-ჭრელა ამბები.

დიზაინერი ზალიკო ბერგერის ნამდვილი გვარი ხეცურიანია. არა, ზალიკო სვანი არ გეგონოთ, იგი წარმოშობით იმერელი ყოფილა. ერთ პერიოდში რადიოში მუშაობდა, სადაც აუცილებლად ფსევდონიმი უნდა ჰქონოდა. რადგანაც ყველა მსახიობ ჰელმუტ ბერგერს ამსგავსებდა, ზალიკომაც ფსევდონიმად ბერგერი აირჩია. „– ამ პერიოდის გავლის შემდეგ ვფიქრობდი, ფსევდონიმი მომეშორებინა, მაგრამ უკვე ვთვლი, რომ მოდისთვისაც მისაღებია იგი", - აცხადებს დიზაინერი.



უდიდესი მოულოდნელობა თამუნა ამონაშვილის კარიერაში თურმე ესტრადაზე მოხვედრა იყო. „მანამდე კლასიკა მიყვარდა, საოპერო მომღერლობაზე ვოცნებობდი. უეცრად „ივერიის" სპექტაკლ „თოვლის ბებოს ზღაპარში" მოვხვდი" – აცხადებს მომღერალი. ეს იყო ჩემი დებიუტი, ამის შემდეგ – „ავილე გეზი და წავედი". პოპულარობის მიუხედავად, კარგა ხანს, თითქოს ბურუსში ვიყავი, რამდენიმე წელი დამჭირდა, სანამ წარმატებას რეალურად აღვიქვამდი. საკუთარ თავს გაოცებული ვეკითხებოდი: „ეს მე ვარ"? „ნუთუ მართლა"? „რა შუაში ვარ"? ალბათ ბედია ეს ყოველივე, რაც გიწერია, აუცილებლად მოხდება და რაც გეკუთვნის, აუცილებლად შენი გახდება.



მოდელს – თაკო ჩხეიძეს ძალიან ჰყვარებია ქართული ცეკვა. ყველგან – ქორწილსა თუ ქეიფში აყლერებულ ეროვნულ საცეკვაო მუსიკებზე დგება მოდელი და ერთს მამა-პაპურად დაუვლის თურმე. „– ქრუანტელი მივლის ჩვენებური მუსიკის გაგონებაზე, ვგიჟდები ქართულ ცეკვებზე... როცა საბოლოოდ გადავწყვიტე მოდელობა და ცეკვას თავი დავანებე, ერთი პერიოდი, მესიზმრებოდა კიდეც, რომ სცენაზე ვიყავი და ვცეკვავდი!" – აცხადებს თაკო.

## „საყვარელ მომღერალს – ლელა წურწუმიას“



უპირველეს ყოვლისა მინდა მივესალმო „ფან-კლუბის" კოლექტივს და მინდა დიდძალი წარმატებები ვუსურვო. ჩემი წერილი ლელა წურწუმიას ეძღვნება.

ჩემო საყვარელო ლელა, ძალიან მიყვარხარ, ისე მიყვარხარ, რომ ჭკუა მეკეტება. გავიგე რომ ჩამოხვედი და ძალიან გთხოვ „ფან-კლუბში" შემხვდე, მერე ერთ გაზეთს კი არ ვიყიდი ათ ცალს ვიყიდი. ლელა მე შენ სიგიჟემდე მიყვარხარ. შენი ყველა სიმღერა მიყვარს, ყველა ერთმანეთზე უკეთესია, მაგრამ მე უფრო "სამბა" მიყვარს. მე ასე ვფიქრობ, რომ ქვეყანაზე ყველაზე უკეთესი ხარ, მე შემიძლია დავიფიცო რომ ყველაზე კარგი ხარ. ლელა შენი დედიკოს სახელი არ ვიცი, მაგრამ რომ ვიცნობდე დიდ მადლობას ვეტყოდი, იმიტომ რომ ასეთი კარგი გაგაჩინა ამქვეყნად. თავი რომ არ მოგაბეზრო გემშვიდობები დიდი სურვილებით. ეს ლექსი კი შენ.

„დიდსა თუ პატარას
ყველას უყვარხარ
შენი ხმა, სიმღერა
აგიჟებს ბევრს
სცენა კი ფლობს
ჩრდილსა შენს
შენ იპყრობ შენი
ხმით სუყველა ერს
აგიჟებ გოგონებს
ვაჟებსაც, გეტრფიან
კარგავენ გონებას
ერტფიან შენსა
ტალანტს და შენს ხმას
და შენი აჩრდილის
მონობას,
მე მესმის შენი ხმა
მაგიჟებს.
თითქოს და არ მესმის
მსგავსი და ამქვეყნად
მიყვარხარ მიყვები
ამ გიჟ ხმას
და შენი დანახვა
მინათებს გონებას
ცხადშიც და სიზმარშიც
შენ გხედავ
მივყვები შენი
ხმის მონებას
ასეთი სადა
ხარ ვინა ხარ
რომ შენთვის
ვკარგავ
ჭკუას და გონებას.

მიყვარხარ მთვარემდე

დიდი სიყვარულით ძველი ფანი,
წურწუმიაზე შეყვარებული
ნანული ხარშილაძე,
12 წლის
*(სტილი დაცულია)*

## წერილი ზურა ხაჩიძეს!



ვერასოდეს დავივიწყებ იმ ლამაზ წუთებს!

გამარჯობა ჩემო ძვირფასო „ოსკარელებო" და „ფან-კლუბელებო", ძალიან მიყვარხართ, ძალიან დიდ პატივს გცემთ და მინდა დიდი მადლობა გადაგიხადოთ იმისთვის, რომ ჩვენ, „ქუჩის ბიჭების" ფანებს იმედებს არ გვიცრუებთ და კონტაქტობთ მათთან. მოდით, საქმეზე გადავიდეთ. ეს ჩემი პირველი წერილია და იმედია არ გამანბილებთ.

ზურა, ჩემო საყვარელო, გამარჯობა, ალბათ გახსოვართ, მე ის პატარა გოგო ვარ, რომელმაც ვერა და ვერ დაივიწყა ის ლამაზი წუთები, როდესაც პირველად გნახეთ, გაგესაუბრეთ, (პალტო ცრემლებით დაგისველეთ)... არ გამომდის სიყვარულის სიტყვებით გამოთქმა, არც სიმღერით, ლექსად, სიტყვები უბრალოდ მერითმება, ცრემლით – ცრემლით გამომდის, მაგრამ ცრემლით მხოლოდ მას ესმის ჩემი, ვისაც ჩემსავით უყვარს, ჩემსავით ჩემს უახლოეს მეგობარს, (რომელსაც მხოლოდ ტელეფონით ვიცნობ) ქეთი შატბერაშვილს უყვარს პაატა, სხვებს გიჟი ვგონივარ.

არ გამომდის ფიქრი უთქვენოდ, ძილი უთქვენოდ, სიზმარი უთქვენოდ, არ ვიცი რა ვთქვა, როდესაც გელაპარაკებით, ყველაფერი ერთიანად მავიწყდება...

ასე რომ აქვე გეტყვით, ჩემი დღიურები, ჩემი ლექსები, თქვენთვის იწერება, თქვენ გეძღვნებათ... ალბათ უფალმა ინება ასე მყვარებოდით. გეტყვით ერთს: მიყვარხართ მთვარემდე!"

ზურა,
თქვენში ჩამწვარი „კიწი"
*(სტილი დაცულია)*

## ჯგუფ „BLUE“-ს წევრებს



ელტონ ჯონთან ერთად შესრულებულ ჰიტამდე ამ ჯგუფს მეტ-ნაკლებად ვიცნობდი. ამ სიმღერის შემდეგ ძალიან შემიყვარდა „Blue"-ს წევრები. ბიჭები მართლა კარგად მღერიან. მე მათ პროფესიონალიზმში დავრწმუნდი. ბიჭების ვოკალი ჰარმონიულად ერწყმის ერთმანეთს. ჩემი აზრით მათ შესანიშნავი არჩევანი გააკეთეს ლეგენდარულ ელტონ ჯონთან რომ ჩაწერეს დუეტი. როგორც ვიცი ელტონ ჯონი თავდაპირველად არ თანხმდებოდა კლიპში გამოჩენაზე. ბიჭების დაჟინებული თხოვნის შემდეგ მუსიკოსი თავისი თეთრი როიალის თანხლებით გამოჩნდა ვიდეორგოლში. ჩემი აზრით კლიპიც არაჩვეულებრივია ძალიან მომწონს დადგმული ცეკვაც. მე პირადად ძალიან მომწონს ზანგი წევრი. იგი არაჩვეულებრივად მღერის. როდესაც „Blue"-ს ვუსმენ ყოველთვის კარგ ხასიათზე ვდგები. ეს სიმღერა დიდხანს გამყვება ხოლმე და მთელი დღე შესანიშნავ განწყობას მიქმნის.

ნატო, 17 წლის
*(სტილი დაცულია)*

## „ჩემი ცხოვრების თანამგზავრი“



გამარჯობა ძვირფასო „ფან-კლუბელებო", მე ძალიან დიდ პატივს ვცემ თქვენს კოლექტივს, ჩემი წერილი ეხება საყვარელ ლელა წურწუმიას.

ჩემო საყვარელო როგორ ხარ? მე ძალიან მიყვარხარ, შენზე ვგიჟდები. ასევე ძალიან მიყვარს შენი სიმღერები, განსაკუთრებით კი რუსული "სამბა". კარგად იყავი ჩემო ცხოვრებავ.

თეონა მჭედლიძე
*(სტილი დაცულია)*

# კითხვა-პასუხი

**ფ**ან-კლუბის" რედაქცია „მოაწყობს ლელა წურწუმიასთან შეხვედრას?

ნათელა ვანიშვილი



– რა თქმა უნდა, თქვენ ლელასაც შეხვდებით.

**რ**ატომ არ არის „ოსკარში" სტეფანეს პლაკატი ბოლო დროს?

თეონა, 14 წლის



– თეონა, სტეფანეს ახალ ფოტოებს რომ გადავუღებთ, მერე გავუშვებთ პლაკატებსაც.

**რ**ომელ წელს დაიბადა თამთა ჭელიძე?

გიორგი, 11 წლის



– თამთა დაიბადა 1982 წელს.

**რ**ა ფერის მანქანა ჰყავს ზურა ხაჩიძეს?

გიორგი, 13 წლის



ზურა: – მე შავი ფერის მერსედესი მყავს.

**ა**პირებენ თუ არა „ქუჩის ბიჭები" სოლო კონცერტის გამართვას?

ანა, 12 წლის



– როგორც ჯგუფის წევრებმა აღნიშნეს, კონცერტს ჩაატარებენ მაშინ, როდესაც ფანებისგან იქნება ამის მოთხოვნა.

**რ**ა პროფესიისაა ეკა ხოფერიას მეუღლე?

დათო, 22 წლის



– ეკას მეუღლე ბიზნესმენია. როგორც ჩვენ შევიტყვეთ იგი „სიაისერვისში" მუშაობს.

**„ბ**ახალა„ და რეზო ჩხიკვიშვილი მართლა ნათესავები არიან?

თამუნა, 17 წლის



– დიახ, რეზო „ბახალას„ ბიძაა.

**რ**ოგორი გოგონები მოსწონს ზურა ხაჩიძეს?

თამთა, 15 წლის



ზურა: – მიმზიდველი, განათლებული და მორწმუნე გოგონები მომწონს.

**შ**ევა თუ არა ნინი ქარსელაძე „არტ-იმედში"?

თამთა, 12 წლის



– ნინი ჯერ ასაკით პატარაა და შესაბამისად ვერ გააფორმებს იურიდიულ ხელშეკრულებას რომელიმე კომპანიასთან.

**რ**ამდენი წლისაა ლელას დედა ქ-ნი ნინო?

დალი, 18 წლის



ლელა: – დედა იმ ასაკშია, როდესაც ქალს ასაკს არ ეკითხებიან.

**მ**ართლა გახდა თუ არა ია ჩანტლაძის მენეჯერი ნატო დუმბაძე?

ირაკლი, 15 წლის



– დიახ, იას მენეჯერი ნატო დუმბაძეა და ისინი ახალ პროექტებსაც მუშაობენ, რომლის შედეგებსაც უახლოეს მომავალში ვიხილავთ.

## ქრჭუნა-ქრჭუნა ამბები


ეროვნული ბიბლიოთეკა

ქეთა თოფურია, პეტერბურგში ფესტივალზე ყოფნისას იმის გამო, რომ დილით 9 საათზე ვერ დგებოდა, მერე უწევდა საჭმლის მოპარვა. თურმე მომღერალი შეიპარებოდა სასადილო ოთახში და გვანცა კილასონიასთან ერთად პატარა განჯინიდან იპარავდა თავის ულუფას. ისე მოსწონებია იქაური კერძები ჩვენს ქეთას, რომ აქაც ნატრობს იმ გემრიელ საჭმელებს.



ზუკა ხუციშვილი ახლა ისე გაიტაცა რაგბმა, რომ სხვა არაფერი აინტერესებს. პირველად თურმე ყველა იბრიყვებდა ზუკას, თავს ესხმოდნენ, ბურთს ართმევდნენ, ახლა ისე გააქტიურდა და ისე წარმატებით თამაშობს, რომ ვერავინ ჯობნის. „– რაღაც კაცური, ძლიერი სპორტი მინდოდა და ავირჩიე კიდეც რაგბი", – ამბობს ზუკა.



გიგა კვენეტაძეს "ვერ შეველევის" შემდეგ აბრალებდნენ, გინდა თუ არა შეყვარებული ხარო. როგორც მუსიკოსმა აღნიშნა, სიმღერის ტექსტი უცებ, სპონტანურად მოვიდა და მას კონკრეტული ობიექტი არ ჰყავს. „– რატომღაც ყველა ამ შეკითხვას მისვამს, ჰგონიათ, რომ მე შეყვარებული მყავდა და მას მივუძღვენი ეს სიმღერა", – აცხადებს გიგა.



# მე ამათთვის კაი მინდა, ესენი კი...



– აა! მე ამათთვის ტვინს ვიჭყლეტ, ესენი კი ფუი! რეიზა მიიღეთ, ახლა, ვითომ ამფერი აფერისტი სახეები?! ხო, ხო, ხო, კაი ოხრები ხართ ყველა, პირში მიცინით, მელაქუცებით და პირს უკან, ვინ იცის, რეებს არ როშავთ ჩემზე. არა უშავს, მე მევითმენ ამას, ჩავყლაპავ, მარა თქვენ მერე რაფერ შემხედავთ თვალებში, იმასაც ვნახავ.

ერთი ეს მითხარით, რაღას ყიდულობდა ე გოგო მანქანას, ტარება თუ არ იცოდა და მარტო თუ ვერ ატარებდა? დიახაც, თამთა გოგუაძეს ვგულისხმობ. თურმე, ეს მშიშარა, მარტო ვერ ჯდება თავის გასანსალებულ „BMW"-ში, აპა! ამას თუ იფიქრებდით? მამამისს ჩაუჯდება მანქანაში და ისთე დადის. ნაღდად არ მეგონა თამთას საჭესთან თუ არ ვნახავდი, ისთე იყო მონდომებული მანქანის შეძენაზე. ეგია საქმე?!

* * *

– უი, უი, რა ბეჭედი ვნახე, ეს რა იყო! ან რაფერ ბზინავს და ან რაფერი ნაკეთობაა. სად იპოვა იმ დალოცვილმა ბავშვის ზომა ბეჭედი. რუსა მორჩილაძეზე ვიძახი, ამერიკიდან რომ ბეჭედი ჩამოუტანა პატა-



რა ნინის. ეს მატრაკვეცა პირდაპირი ეთერის დროს გვაჩვენებდა ამ საჩუქარს. ისთე, არც მე დევინუნებდი ამ ლამაზ სამკაულს. თურმე ისე მოსწონებია ნინის საჩუქარი, რომ თითიდან არ იშორებს და არც არავის აძლევს. საჩუქარი უცებ აჩვენა თავის ყველა ახლობელს და ამატებდა, აი, ნახეთ, რუსამ რა ჩამომიტანა ამერიკიდანო. როგორც გევიგე, კომპოზიტორი იმფერი კმაყოფილი დაბრუნებულა აშშ-დან, რომ ნუ იკითხავთ, ნამეტანი.

* * *

– რავა, ვიფიქრებდი, რომ ამ სტილის კლუბში მოვხვდებოდი. არ აწიოთ ახლა ცალი წარბი, რა მოხდება, მეც კლუბში შევიარო? დეიქცევა ქვეყანა? თუ პრეზიდენტი გამეგვეცვლება? პირდაპირ გამაგიჟებთ თქვენ·მე! იმ დღეს ისთე კარგად ვგრძნობდი



თავს „მამულიჩას" ახლადგახსნილ კლუბ „ნეო"-ში, რომ თავი წიწკვი გოგო მეგონა, კიდო კაი რომ პუდრის და პომადის წასმა არ დამავიწყდა, ხო დამცინებდა მთელი შოუ-ბიზნესი?! მემეჭრებოდა თავი, ღმერთო კი მომკალი, რა მაქვს ამათი დასაცინი! ყველაფერი ყველაფერი, მარა მართლა კაი კლუბი და კაი სიტუაციაა, საღოლ „მამულიჩას". კაი განათება, კაი მომსახურება და კაი ისა, ხო, ხო რას ეძახით? აურა, აურა. წარმეიდგინეთ მე რომ მევიხიბლები, აი გადაპროხებული ქალი, ახალგაზრდები რა ჭკუაზე იქნებიან. იყო ერთი გნიასი და ყურებზე ხტომა. ჰოდა, თუ მოგინდებათ დროსტარება, „ნეო" აგერ არაა?

* * *

– რაფერ მიხარია ამ ბოვშის წარმატებები, ვერ წარმეიდგენთ, მართლა კაი გოგოა, ნიჭიერი და მონდომებული. ქეთაზე ვვიშვიშებ. სიონში დადის, იქ ლოცულობს. თურმე სიონის კაფეში უყვარს ჯდომა. ერთი-ორჯერ ერთ ცნობილ მომღერალ ყმაწვილთან ერთად შენიშნეს, კაი, ნუ ცდი-



ლობთ ახლა რაღაც წამომაცდენინოთ. იმ ბიჭს ყველა კარგად იცნობთ... ხშირად წყვილი სხვადასხვა მაგიდასთანაც დოუნახავთ, მარა იმფერი გამგმირავი მზერით უყურებენ თურმე ერთმანეთს, მტრისას, გაგხვრეტენ. რას გოუგებ ამ ახალგაზრდებს შენი ჭირიმე, დღეს ერთს რომ ამბობენ, ხვალ მეორეს აკეთებენ. არა, არა, მაგათ ჩემმა მტერმა მოუსმინა...

* * *

– სოსიკო თოლორაიას ვენაცვალე, იცით, რა ნიჭიერი ბიჭია?! უჰ, არ თქვა, პირდაპირ ფილტვია, ფილტვი! იმისთანას



იტყვის ექსპრომტად, რომ მოგკლავს სიცილით. მერე და, რაფერ მიყვარს მე სიცილი, მოდი და, ნუ შეიყვარებ, სიცილი აახალგაზრდავებს, თანაც ჩვენს დუხჭირ ცხოვრებას თუ გეიხსენებ, წამალიც არის. უი, სად წევედი, სოსიკოს ცოლზე მინდოდა მემეყოლა. ორსულადაა და იმფერ საყვარლად გამეიყურება, რომ ჩაყლაპვა მოგინდება. რომ დევინახე ჯინსის კომბინიზონი ეცვა და კოხტად მიკუსკუსებდა. ასე რომ, მალე ჩვენი ნიჭიერი ტელეწამყვანი და მსახიობი მამა გახდება. იგი ისეთი მზრუნველია ცოლის მიმართ, რომ მათ შემხედვარეს მეც მომინდა ასეთ მდგომარეობაში ყოფნა. ეეჰ, ზოგჯერ რა მეოცნებე ვარ, გამოუსწორებელი მეოცნებე.

* * *

– ეს რა გევიგე! ზურა ხაჩიძე წამალზე შეჯდაო, მითხრეს. ჯერ შევკივლე, თვალები გა-



დავატრიალე და პირიდან ქაფი გადმოვუშვი, მარა მერე იმ დალოცვილმა შემიბრალა და თან დაამატა, შე ქალო, ვირატონზე და ვიტამინ C-ზე გეუბნებიო. ძლივს არ დავმშვიდდი! თურმე გრიპი შეჰყრია ზურას, მე სხვა წამალი ვიფიქრე და ლამის ჭკუა დავკარგე. ამ გრიპმა კიდევ არ დაგვანება თავი, როდის გადაშენდება და წავა... ზურა თურმე წამლებს ისეთი სიფრთხილით სვამს, რომ გეგონებათ ცოტათი შეუშინებია ამ სენსო. არადა, მოდი და ნუ შეშინდები!

# კითხვა-პასუხი

რამდენი წლისაა შერი?



– იგი არის 57 წლის.

ეწევა თუ არა სიგარეტს დევიდ ბექჰემი?



– არა, ამჟამად დევიდი სიგარეტს არ ეწევა.

რა ეროვნების არის შაკირას ბოიფრენდი?



– შაკირას ბოიფრენდი – ანტონიო დე ლა რუა არის არგენტინელი.

გამოუშვა თუ არა მეორე ალბომი ბრიტნი სპირსმა?



ეროვნული ბიბლიოთეკა

– ბრიტნის მეორე ალბომი გასულ მაისს გამოვიდა. ამჟამად კი იგი მესამე ალბომზე მუშაობს.

აარონის გარდა ჰყავს თუ არა ნიკ კარტერს და-ძმები?



– კი, ესენი არიან: ჯინჯერი, BJ, ლესლი და ანჯელი.

რამდენი წლის არის ნაომი?



– ნაომი 22 მაისს 33 წლის გახდება.

რომელია ჯასტინ ტიმბერლეიქის საყვარელი კერძი?



– ჯასტინ ტიმბერლეიქის საყვარელი კერძია – იტალიური სპაგეტი.

რამდენი წლისაა Anastacia?



– Anastacia 29 წლისაა.

რომელ წელს დაიბადა ქაილი მინოუგი?



– ქაილი დაიბადა 1968 წლის 28 მაისს.

რა ჰქვია „Blue"-ს წევრებს?



– „Blue"-ს წევრებს ჰქვიათ: ანტონი, დუნკანი, სიმონი და ლი.

ჰყავს თუ არა Melc-ის და-ძმა?



– Melc-ის და-ძმა არა ჰყავს, იგი დედისერთაა.

რომელ წელს გამოვიდა ენრიკე იგლესიასის პირველი ალბომი?



– ენრიკეს დებიუტი ალბომი სახელწოდებით „Enrique Iglesias"-ი გამოვიდა 1997 წელს.

რომელ წელს შეიქმნა ჯგუფი „Tamy"?



– „Tamy" შეიქმნა 2000 წლის დასაწყისში.

რა ჰქვია გვინეტ პელტროუს შეყვარებულს?



– კრის მარტინი.

რამდენი წლისაა შაკირა?



– შაკირა 9 თებერვალს 26 წლის გახდა.

რომელი ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ არის დაბადებული შერი?



– ზოდიაქოს ნიშნით შერი არის "ტყუპები".

# გასართობი გვერდი

მოცემული ასოებით შეადგინეთ სიტყვა

| ლ | მ | ე | ა | ი | ქ | ე | ნ | ო |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|



## რამდენად ერკვევი შოუ-ბიზნესში?

გაზეთ "ფან-კლუბის" საშუალებით თქვენ შეგეძლებათ შეამოწმოთ თქვენი ცოდნა, თუ რამდენად ერკვევით შოუ-ბიზნესში. ყველა კითხვას თავზე მოთავსებული აქვს სირთულიდან გამომდინარე ქულები 1-დან 5-ის ჩათვლით. პასუხები გამოქვეყნებულია მე-15 გვერდზე.

**1 ქულა**
ვინ ასრულებს სიმღერას „განდაგანა"

**4 ქულა**
ვის ეკუთვნის არანჟირება სიმღერისა „დამიბრუნე სიყვარული"

**3 ქულა**
ვინ ასრულებს სიმღერას „ნატვრის ხე"

**2 ქულა**
ვისი დედაა მომღერალი ეკა კახიანი

**5 ქულა**
რომელი კლუბის დირექტორია სოსო ჯავახიშვილი

**3 ქულა**
რამდენი სიმღერაა შესული „რონდოს" ახალ კასეტაში

**3 ქულა**
ვინ არის სტუდია „მაესტროს" გადაცემა „უცნობის" წამყვანი.

**1 ქულა**
რომელი ჯგუფის წევრია პაატა ხაჩიძე?

**5 ქულა**
რომელი რელიგიური მიმდევრობისაა მამუკა ბერიკა

**1 ქულა**
რა ჰქვია თიკა ფაცაციას ბოლო კლიპს?

**3 ქულა**
რა პროფესიისაა ზუკა ხუციშვილის დედა

**2 ქულა**
ვისთან ერთად ასრულებს მერაბ სეფაშვილი სიმღერას „სიმღერას ვბედავდი"

**2 ქულა**
რომელ კომპოზიტორს ეკუთვნის თამუნა ამონაშვილის სიმღერა "პირველ ღამეს".

### დაითვალეთ ქულები:

0 ქულა: თქვენ საერთოდ ვერ ერკვევით შოუ-ბიზნესში და ალბათ, არც ჟურნალი „ოსკარი" წაგიკითხავთ ყურადღებით.

1-დან 3-მდე: შოუ-ბიზნესის წარმომადგენლებმა გვერდზე რომ ჩაგიარონ ან იცნობთ და ან ვერა. თუმცა, ცოტ-ცოტა რამ მაინც გაგეგებათ.

0-დან 8-მდე: სულ ცოტა ხანია, რაც დაინტერესდით შოუ-ბიზნესის ამბებით. ყოველ შემთხვევაში ასეთი დასკვნის გაკეთება შეგვიძლია, თქვენი პასუხებიდან გამომდინარე.

8-დან 15-მდე: შეიძლება საფუძვლიანად ვერ ერკვევით ქართულ შოუ-ბიზნესში, მაგრამ თუ ასე გააგრძელებთ, ალბათ, რომელიმე ჟურნალში ერთი წლის მერე სამსახურსაც იშოვით.

15-დან 25-მდე: ყოჩაღ, ალბათ „ოსკარის" არც ერთ ნომერს არ ტოვებთ და გაზეთ „ფან-კლუბის" დახმარებით თქვენს კუმირს უამრავ კითხვას უსვამთ.

15-დან 35-მდე: თქვენ შოუ-ბიზნესის მემატიანე ბრძანდებით და თავისუფლად შეგიძლიათ, ქართული შოუ-ბიზნესის ისტორია დაწეროთ.

## ჭრელა-ჭრელა ამბები



არ გაინტერესებთ, რას ნიშნავს დათო გომართელისთვის ფული და უყვარს თუ არა მას, მისი ხარჯვა?

–დღევანდელი მდგომარეობიდან გამომდინარე, ეს უბრალოდ, საჭიროებაა, ანუ ის, რაც ყველა ადამიანს სჭირდება. ძალიან მიყვარს ფულის ხარჯვა საკუთარი თავისთვისაც და მეგობრებთან ერთად სიარულიც – სადმე დაჯდომა, ქეიფი... შენს შრომაში ანაზღაურების მიღება ნამდვილად სასიამოვნოა. სხვათა შორის, ამ ბოლო დროს, ასეთი დასკვნა გავაკეთე: ფული შეგერგება, როცა მას შენი შრომით იშოვი.



ზურა ხაჩიძეს რომ ძალიან უყვარს ზებია, ეს ცნობილი ფაქტია. თურმე, ქალბატონმა ტასომ შეიტყო, რომ იგი ზურას თაყვანისმცემლებში დიდი პოპულარობით სარგებლობს. მეტიც, ახლა აბეზარი ფანები თავად ტასო ბებოს მისამართით სვამენ სხვადასხვა შეკითხვებს. როგორც ზურამ გვითხრა, მალე ბებოს ჩამოიყვანს და პირისპირ შეახვედრებს მის მსმენელთან. აი, მერე დაუსვით რა შეკითხვებიც გინდათ.



ეკა კვალიაშვილი საკუთარ გარეგნობაზე ზრუნვითაა დაკავებული. მომღერალი საგრძნობლად გახდა მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი დიეტის წყალობით. დიეტა მოიცავს ყავას, მსუბუქ სალათებს, მოხარშულ ენას და შიმშილის მოთმენას. ეკა ამ დიეტას თან ახმარს თაფლის მასაჟებს. თურმე, თაფლი კანს ელასტიურობასა და სიფაქიზეს ჰმატებს. [illegible] რომ [illegible] გახდომა გადაწყვი[illegible] ამ წესებით და [illegible]ბს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გასართობი გვერდი

## შეამოწმეთ თქვენი ცოდნა

**1** ქართული შოუ-ბიზნესის რომელ წარმომადგენელს ჰყავს პიტბულის ჯიშის ძაღლი?

A) ქეთა თოფურიას
B) „ბუკა“ მანაგაძეს
C) კახა კუხიანიძეს
D) ზურა ხაჩიძეს

**2** ქვემოთ ჩამოთვლილი მომღერლებიდან რომელი არ არის გაწევრიანებული კომპანია „არტ-იმეჯში“?

A) ლელა წურწუმია
B) დათო ხუჯაძე
C) მერაბ სეფაშვილი
D) ეკა კვალიაშვილი

**3** რა ერქვა დასავლეთ საქართველოს ძველად?

A) იბერია
B) კოლხეთი
C) ეგრისი
D) დიაოხი

**4** რომელი მეფის შვილს ერქვა დავით ულუ?

A) რუსუდანის
B) ლაშა-გიორგის
C) დემეტრე II-ის
D) დავით IV-ის

**5** ქვემოთ ჩამოთვლილი მდინარეებიდან რომელი მდებარეობს რუსეთში?

A) ტემზა
B) კონგო
C) ზაირი
D) ლენა

**6** საქართველოს რომელ კუთხეში მდებარეობს დადიანების სახლ-მუზეუმი?

A) გურიაში
B) აფხაზეთში
C) სამეგრელოში
D) სვანეთში

## ასოციაციობანა ასოციაციობანა

| | | |
|---|---|---|
| სინათლე | კამარა | სიბნელე |
| მთვარე | ღრუბელი | ძილი |
| დისკო | ცისფერი | დღე და ... |



იპოვეთ 5 განსხვავება



## ანეკდოტები

შინ დაბრუნებული დედა თავის გოგონებს:
– აბა, როგორ იდიასახლისეთ?
– კარგად, დედა, მე ჭურჭელი დავრეცხე.
– მე გავწმინდე
– მე ნატეხები ავკრიფე.

* * *

სტუდენტი დეპეშით დედას ატყობინებს:
– „გამოცდებზე ჩავიჭერი, მამა მოამზადე“.
პასუხი:
– „მამა მომზადებულია, შენ მოემზადე“.

* * *

ექიმს შეეშალა და გრაფაში „სიკვდილის მიზეზი“ თავისი გვარი ჩაწერა.

* * *

– რად გინდა, ბიჭო, სიდედრის სურათი მანქანაში?
– სიფხიზლისთვის.

## ჭრელა-ჭრელა ამბები



დათო ხუჯაძე, როგორც გავიგეთ, სტუდია „მელოდიასთან“ თანამშრომლობს, კერძოდ კი ჯუმბერ ბერიძესთან. მომღერალი ალბომზე მუშაობისას ცოტა გახდა. ვერ გეტყვით წონაში დაკლება რამ გამოიწვია, ერთი კი ფაქტია, რომ ძალიან უხდება ფორმაში ჩადგომა. შესაძლოა, დათო სუსტი სქესის სიყვარულმა გაახდუნა, ან კიდევ ალბომზე მუშაობამ, ან...



თურმე, გოგოლა კალანდაძე, ახლა რომ უყურებს თავის თავს სერიალში „სახლი ძველ უბანში“, საშინლად არ მოსწონს მისი გარეგნობა. „– იმ პერიოდში ყველა ამბობდა, ლამაზი გოგოაო, მაგრამ ახლა რომ ვაკვირდები ჩემს თავს, მიკვირს, რა მოსწონდათ ჩემში, გაბერილი და მორცხვი ვიყავი, რისი მრცხვენოდა, არ ვიცი. არც თამაში მომწონს, მაგრამ ეს ჩემი დებიუტია, რომელმაც იმიჯი შემიქმნა“, – აცხადებს მსახიობი. ამჟამად გოგოლა ისევ „ძილის წინ“-ის გადაღებებითაა დაკავებული.



„რონდოს“ ყველაზე მხრცოვან წევრს – ელენეს საქმრო ჰყავს – გოგა. ყველგან, თავშეყრის ადგილებში, ჯგუფი გოგასთან ერთად მიდის. „რონდოს“ სასიძო სიდინჯითა და დარბაისლობით გამოირჩევა. როგორც გავიგეთ, ქ-ნ ლიზის ძალიან მოსწონს სასიძო და მისი თქმით, გოგა გოგონების შემოქმედების დიდი დამფასებელი და თაყვანისმცემელია. „– იგი ყოველთვის აფასებს ჩვენს შემოქმედებას და გვერდით გვიდგას“, – აცხადებს ლიზი ოთარაშვილი. ლელა ოთარაშვილს უცხოელი თაყვანისმცემელი ჰყოლია. ჯერ მადროვეთ, ვნახოთ რა იქნებაო, – აცხადებს ლელა.

# ჭრელა-ჭრელა ამბები



ცნობილი მსახიობი ტომ კრუზი აქტიურად ცდილობს დაითანხმოს ნიკოლ კიდმანი, რომ მან მასთან ერთად მონაწილეობა მიიღოს ფილმში „ჩემი ცოლი ალქაჯია“, რომელსაც დენი დევიტო გადაიღებს. ჯერჯერობით ნიკოლი ფილმში მონაწილეობაზე უარს ამბობს, პენელოპა კრუსის კანდიდატურა კი არავის ახსენდება. ასე რომ "ალქაჯის" ვაკანსია ჯერ კიდევ თავისუფალია.



ჯგუფ „Westlife“-ის წევრთან დაშორების შემდეგ „Atomic kitten“-ელმა ლიზიმ დღესდღეობით ძალზედ პოპულარული ბენდის „Blue“-ს სოლისტი ლი გაიცნო და იგი უგონოდ შეუყვარდა. ლიმ მას საპასუხო გრძნობითვე უპასუხა და აქედან გამომდინარე, მათ შორის სერიოზული რომანი გაჩაღდა. ქორწინებაზე კი ჯერჯერობით არც ერთი მათგანი არ ფიქრობს, რადგან თავს ასეც კარგად გრძნობენ.



ჯგუფ "No Doubt"-მა, როგორც იცით, „გრემის“ 45-ე ცერემონიალზე ორი ჯილდო დაიმსახურა და საღამოზე ჰიტი „Hella Good“ ცოცხლადაც შეასრულა. პრიზის მიღებისას ბენდის სოლისტმა გვენ სტეფანიმ საკმაოდ არასტანდარტული სამადლობელი სიტყვა წარმოთქვა – „დიდი მადლობა გევინ, რომ ცოლად მომიყვანე – ამას არასოდეს დაგივიწყებ“ – უთხრა მან თავის ქმარს „Bush“-ის სოლისტ გევინ როსდეილს, რომელიც საკუთარი ცოლისთვის მქუხარე აპლოდისმენტებს იმ დღეს ნამდვილად არ იშურებდა. აი, ასეთი უცნაურები არიან შოუ- ბიზნესის ვარსკვლავები.

# რატომ შეაქციეს ბექჰემის ოჯახს ფანებმა ზურგი?



ბეჰქემის ოჯახი დღესდღეობით მსოფლიოში უდიდესი პოპულარობით სარგებლობს. ვიქტორია და დევიდი გამუდმებით ყურადღების ცენტრში არიან, ყოველდღიურად მათზე უამრავი ჭორი ვრცელდება და ახალ-ახალი ინტრიგები იხლართება. მათ ჰყავთ მილიონობით თაყვანისმცემელი, რომლებიც მათით ცხოვრობენ და მათ შესახებ აბსოლუტურად ყველაფერი, წვრილმანი დეტალებიც კი იციან.

დევიდი: „ჩემი თაყვანისმცემლები უმეტესწილად ფეხბურთის ფანები არიან, მათ მატჩების დასრულების შემდეგ ვხვდები, თუ შესაძლებლობა მაქვს მათთან ერთად სურათებს ვიღებ და ავტოგრაფებსაც ვურიგებ. მყავს აბეზარი ფანებიც, რომლებიც მობილურზე მირეკავენ, მესიჯებს მიგზავნიან, ხშირად სახლშიც მირეკავენ და ჩემ ცოლს აწიოკებენ“.

„მობილურის ნომრებს ძალიან ხშირად ვიცვლი, მაგრამ საიდანღაც ისინი მაინც გებულობენ ჩემს ნომერს, თუ სახლში რეკავენ ხშირად ნერვები მეშლება და მათ უწმაწური სიტყვებითაც ვამკობ ხოლმე“.

სხვათა შორის გამოკითხვის შედეგად დადგინდა, რომ არა მხოლოდ ქალები, არამედ მამაკაცებიც დევიდს ყველაზე მიმზიდველ ფეხბურთელად თვლიან და შესაბამისად ფეხბურთელთა შორის მას ყველაზე მეტი ფანი ჰყავს.

მას როგორც კუმირს ფანები ყველაფერში ბაძავენ: ვარცხნილობაში, ჩაცმულობაში – ანუ საერთო სტილსა და იმიჯში.

თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ იყო დრო, როცა მას ინგლისელმა ფანებმა ზურგი შეაქციეს და იმ პერიოდში ბექჰემები სხვა ქვეყანაშიც კი აპირებდნენ გადაბარგებას. ეს მოხდა 1998 წელს. ფეხბურთში მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატის დროს დევიდმა არგენტინელ ფეხბურთელ დიეგო სიმეონეს წიხლი ჩაარტყა, რის გამოც მსაჯმა მას



წითელი ბარათი უჩვენა და ბექჰემი მოედნიდან გააძევეს. 11-მა არგენტინელმა 10 ინგლისელი ფეხბურთელი დაამარცხა და მათი ნაკრები მერვედფინალიდან გამოეთიშა ჩემპიონატს.

ინგლისელებმა ეროვნული ნაკრების დამარცხება დევიდს დააბრალეს და ამიტომ იმ პერიოდში იგი სასტიკად შეიძულეს – „ჯერ ერთი ჩემპიონატს მერვედ ფინალიდან გამოვეთიშეთ და ამასთან ჩვენს დაუძინებელ მტერთან, არგენტინასთან დავმარცხდით, ეს კი სულ მისი ბრალია“ – ამბობდნენ გაწიწმატებული ფანები.

თუმცა ამბობენ, დრო ყველაფრის მკურნალიაო და საბედნიეროდ ეს დევიდის შემთხვევაშიც ასე მოხდა. ინგლისელებმა მასზე აზრი შეიცვალეს და იგი ძველებურად შეიყვარეს. მათ კარგად დაინახეს, რომ დევიდი საოცრად მაღალი კლასის ფეხბურთელი იყო და როცა ინგლისის სახელით გამოდიოდა ასი პროცენტით იხარჯებოდა.

მოკლედ, დღეს უკვე დევიდი არა მარტო ინგლისში, არამედ მთელ მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე მაღალანაზღაურებად და ძლიერ ფეხბურთელად ითვლება და როგორც უკვე აღვნიშნეთ მას მილიონობით ფანი ჰყავს.

თაყვანისმცემლები არც მის ცოლს – ვიქტორიას აკლია. როგორც იცით, ვიკი „Spice Girls“-ში მოღვაწეობდა, მაშინ კი ეს ჯგუფი მსოფლიოში ნომერ პირველ ბენდად ითვლებოდა და ალბათ ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს რამდენი ფანი ეყოლებოდა მას.

ვიკი – „ფანებთან მშვენიერი დამოკიდებულება მაქვს. მათთან ურთიერთობა არ მეზარება, პირიქით თაყვანისმცემლებთან სიამოვნებით ვკონტაქტობ. საერთოდ არ მესმის იმ ადამიანების, რომლებიც ამბობენ რომ ფანები მათ თავს აბეზრებენ, რადგან ეს თაყვანისმცემლები რომ არა, ჩვენი მოღვაწეობა ფუჭი და უაზრო იქნებოდა.

– ახლახან თქვენმა ქმარმა აღნიშნა, რომ თქვენ ფანები გაწუხებენ, სახლში გირეკავენ, ის კი ხშირად მათ ლანძღავს.

– მსგავსი რამ ჩვენთან მართლაც ხშირად ხდება ხოლმე. პირადად მე ყოველთვის ვცდილობ, რომ დევიდისნაირად მოთმინებიდან არ გამოვიდე და ისინი ზრდილობიანად მოვიშორო თავიდან, მაგრამ ზოგჯერ ამის გაკეთება მეც ძალიან მიჭირს.

ხშირად გოგონები მირეკავენ და მეუბნებიან, რომ





მათ ვეზიზღები, რადგან ცოლად მომიყვანა და მათი ადგილი მე დავიკავე. ამ ადამიანებს ფანებს არ ვუწოდებ, რადგან ისინი უბრალოდ გაუზრდელი პატარა ბავშვები არიან.

ფანები ხშირად მათამამებენ სხვადასხვა სახის საჩუქრებით, სიმღერებიც ძალიან მიყვარს და მათ საერთოდ ვინახავ."

*მოამზადა*
**თამთა მჭედლიშვილმა**

# ანეკდოტები

ქირურგი ნარკოზიდან გამოსულ პაციენტს ეუბნება:
– მომილოცავს, ოპერაციამ შესანიშნავად ჩაიარა.
– ჰო, მაგრამ მე აქ ონკანის შესაკეთებლად გამომიძახეს.

* * *

**– როდისაა, პალიკო, წითელი პარასკევი?**
**– შაბათს, შე კაცო!**

* * *

– რა გითხრა, როლანდია, მამაშენმა, „მერსედესი“ რომ დაუმტვრიე?
– არაფერიც არ უთქვამს... უსიტყვოდ მეუეა.

* * *

**– მამა, დღეს კოლეჯის დირექტორმა მკითხა, და-ძმები თუ გყავსო.**
**– და შენ...**
**– ვუთხარი, არა-მეთქი.**

**– რაში აინტერესებდა?**
**– არ ვიცი, ეს კი მითხრა, მადლობა ღმერთსო.**

* * *

განცხადება:
„ჩვენთან შეძენილ თხილამურებს უფასოდ მოჰყვება ყავარჯნები“.

* * *

**– მამი, მეხუთე სართულიდან რომ გადავხტე, შეიძლება?**
**– ჯანდაბას, გადახტი, ოღონდ მერე, იმეცადინე.**

* * *

– შვილო, იყიდე მაგ გოგონასთვის ყვავილები, თორემ სულ გავიყინე, – ეხვეწება ქალი ბიჭს.
– რა ღირს?
– ცალი ერთი ლარი.
– არ დააკლებ?
– არა, რას ამბობ?
– მაშინ უფრო თბილად უნდა ჩაგეცვა.

* * *

**მთვრალ ბუხუტიას ავტობუსში გოგონა მოეწონა. გოგო რომ ჩავიდა ბუხუტიაც ჩაჰყვა;**
**– გოგონა, გოგონა...**
**– რა გნებავთ?**
**– ავტობუსში „ზონტიკი“ ხომ არ დაგრჩა?**
**– კი, დამრჩა.**
**– ხო და გეეკიდე ავტობუსს.**

* * *

ქმარი ეჩხუბება ცოლს:
– სულ შენი ბრალია ყველაფერი. მგზავნი მშობელთა კრებაზე და არც კი მეუბნები, რომელ სკოლაში სწავლობს ჩვენი შვილი.

* * *

**ოსი მსოფლიო ჩემპიონატს უყურებს.**
**სვანი ეკითხება:**
**– რა ანგარიშია?**
**– ორი ნული, სენი ჭირიმე.**



* * *

– გია, რატომ არ დაუსვი ამ წინადადებას სასვენი ნიშანი?
– ჯერ არ დავღლილვარ, მასწ...

* * *

– კახა, ხამიანზე მეტს ვერ დაგიწერ.
– დაფიქრდით, მასწ, დედაჩემი ნახეთ, მამაჩემი ნახეთ... ნიშანი ისე გამონახეთ.

* * *

– გავიგე, პირველი დახმარების კურსები გაგივლია.
– ჰო, გავიარე.
– და ახლა შეგიძლია ვინმეს დაეხმარო?
– რა თქმა უნდა.
– მაშინ ასი დოლარი მასესხე.

* * *

**– ბებო, გამყიდველმა წელან ნამცხვრის აწონის დროს 200 გრამი მომიტეხა.**
**– უიმე! მერე გამოართვი, შვილო?**

* * *

– მამაჩემმა 7 ათასი დოლარი შეჭამა.
– ფუჰ! მამაჩემს ღორის მწვადები უფრო უყვარს.

***

**– მომეცით თოფის წამალი.**
**– რეცეპტი გაქვთ?**

# სკანვორდი





პერსონა-ში „კუკა-რაჩა“-დან

LL COOL...



ლვინის ნალები

ჩვენი მნათობი

ქათმის ბენი



ლობიოს მსგავსი მარცვალი

ხელოვნ. შექმნილი ცოცხალი ორგან.

კლუბი თბილისში ნოა ...

ორგანუ-ლი ნივ-თიერება

ნრიულად მოძრავი პაერის მასა

გერმანუ-ლი ჯგუფი

კედლის ჭალი

სინემა

ბასტის მეგობარი

სიკვდილ-ის წინა მდგომა-რეობა

ქალაქი აფხა-ზეთში

მწყობრი ნაბიჯით სვლა

ტროპიკ. ქვეყნების მცენარე

მდინარე, სადაც იესო მო-ინათლა

მრგვალი სათამაშო

ყაჩაღების ჯგუფი

მთა, სად-აც შენდე-ბა სამება

ერთ-ერთი თითი

ერთგვარი ზეთი

რუსული ესტრადის მომღერ.



ერთგვარი ფრინველი

პირი, რო-მელიც სი-სხლს გას-ცემს

მონითა-ლო-ყვით-ელი სა-ლებავი



ნინა აზიის ქვეყანა

კავშირი

ციცინათე-ლების მნყემსი

დედა ენის პირველი სიტყვა

ვივიენ ...

მცენარეუ-ლი ცხიმი

მდინარე-ზე გადა-სასვლელი

მსუყე

მოხარშული გახეხილი ხილი

ნაცია

ფილმის სიუჟეტის გეგმა

დისნეის შვილის ნუკრი

ზღვის ყუ...

შეჯიბრის დაწყების მომენტი

ხურდა ფული აშშ-ში

ლუდის დასალევი ჭურჭელი

საქონლის სუფთა ნონა

ჩანანერი კომპიუტ-ერის მეხ-სიერებაში

ნაყოფიერების ქალ-ღმერთი ეგვიპტურ მითოლოგიაში

გიგანტუ-რი ტა-ლღები

რისხვის აღმნიშვ-ნელი ნიშანი

ქართველი მომღე-რალი

ცნობილი წინასწარ-მეტყველი

ნერილი. უსტარი

გარეული ღორი

სრული მარცხი





რია – ...

ერთგვარი სანვავი



2X50

ზღაპრ-ის ნაწილი

ფართობის საზ.ერთ.

# ამავე ნომრის პასუხები

ლაბირინთი მე-10 გვ-ზე
ქამელეონი

შეამოწმეთ თქვენი ცოდნა
კონკურსი მე-11 გვ-ზე
1 – ა, 2 – ა, 3 – ა, 4 – ა, 5 – ა, 6 – ა.

ასოციაციობანა
ვარსკვლავი

სკანვორდი მე-13 გვ-ზე
1-10 – აკრი, 1-13 – არტო, 2-5 – კუ, 4-5 – ლუი, 5-2 – კანტორა, 5-11 – გოგუაძე, 5-12 – საკე, 5-14 – ნამი, 5-15 – გრაცია, 6-4 – ოსი, 6-7 – კუმისი, 6-9 – მუმუ, 6-15 – ჩია, 7-2 – ფა, 7-2 – ტანი, 7-7 სადგისი, 7-11 – გოგოლა, 7-12 – რაჯა, 8-5 – ნატო, 8-6 – ერა, 9-5 – ალბომი, 9-11 – ამირა, 9-12 – ვაკუუმი, 10-2 – ურანოსი, 10-6 – ორი, 10-12 – ძე, 11-9 – სი, 11-16 – ჩარჩი, 12-10 – ქალა, 12-13 – ხალიჩა, 13-4 – აგონია, 15-4 – ძმა, 15-10 – კვანძი, 15-12 – ალფა, 15-13 – დავი.

სკანვორდი მე-14 გვ-ზე
1-4 – ინგა, 1-7 – ჯი, 2-11 – პკე, 2-12 – მზე, 3-11 – ბუმბული, 4-4 – სოია, 4-6 – კლონი, 5-7 – კაა, 5-16 – ეთერი, 6-4 – ციკლონი, 6-14 – რამშტაინი, 7-1 – ბრა, 7-3 – კინო, 7-7 – ბუბუ, 8-1 – აგონია, 8-3 – გაგრა, 8-12 – მარში, 8-14 – ბამბუკი, 9-7 – იორდანე, 9-8 – ბურთი, 9-9 – ბანდა, 9-12 – ელია, 10-8 – ნეკი, 10-15 – ოლეინა, 10-16 – ალსუ, 11-4 – ყარყატი, 11-11 – დონორი, 11-12 – ინა, 12-9 – ერაყი, 12-13 – და, 13-9 – ბაია, 13-10 – აი, 14-4 – ლი, 14-6 – მარგარინი, 14-13 – ხიდი, 15-8 – ნოყიერი, 15-15 – ჯემი, 16-2 – ერი, 16-10 – სცენარი, 16-12 – ბემბი, 16-16 – უბე, 17-7 – სტარტი, 17-9 – ცენტი, 17-11 – კათხა, 18-12 – ნეტო, 19-2 – ფაილი, 19-3 – ისიდა, 19-5 – ცუნამი, 19-7 ციფრი, 19-9 – ირმა, 19-12 – ვანგა, 19-14 – ბარათი, 19-15 – ტახი, 20-7 – ფიასკო, 22-12 – რია, 23-5 – ასი, 23-6 – არე, 23'-12 – ნავთი, 23-12 – არი.

სკანვორდი მე-15 გვ-ზე
1-6 – ფა, 1-13 – ონა, 3-5 – რეი, 3-5 – სვია, 3-10 – ფინიში, 3-11 – ფოთი, 4-10 – ლილა, 5-12 – თოთო, 6-2 – გია, 6-3 – დალმატინელი, 6-15 – პო, 7-7 – ალდაგი, 7-8 – ალიბაბა, 7-16 – ჰამლეტი, 8-2 – ივრითი, 8-4 – ენრიკე, 8-9 – ძაძა, 8-14 – ბალზაკი, 9-1 – ივანე, 9-8 – ბებერი, 9-10 – ანა, 9-12 – ადამი, 9-14 – ბოდვა, 9-16 – მადა, 10-6 – ბალანი, 10-6 – საბა, 10-11 – რე, 11-1 – სინი, 11-3 – არკა, 11-3 – ნელი, 12-16 – უტა, 12-16 – ურო, 13-1 – ალ, 13-12 – კარე, 13-13 – ანი, 15-2 – ლია, 15-4 – ელია, 15-12 – დი, 15-15 – რინგო.

სკანვორდი მე-16 გვ-ზე
1-4 – სიო, 1-5 – ბონო, 1-9 – დო, 1-12 – იო, 2-7 – სუ, 2-8 – პონტო, 3-10 – დრ[illegible], 4-12 – ღრ[illegible], 5-6 – [illegible]რო, 5-7 – სეილი, 5-10 – [illegible], 5-11 – [illegible], 5-12 – ძი[illegible], 6-1 ბორდო, 6-7 – მარე, 6-10 – ასტრა, 6-11 – ბადრი, 7-6 – ასორტი, 7-6 – ბეი, 7-13 – გალერეა, 9-5 – ბენ, 9-7 – დილემა, 9-8 – აკიმა, 9-10 – [illegible], 10-4 – [illegible]ტო, 10-8 – ვვირა, 11-6 – ლიმა, 12-10 – [illegible], 12-12 – [illegible], 13-6 – [illegible], 14-3 – [illegible], 14-8 – ხახა, 14-9 – ხუხულა, 14-10 – ალი, 15-4 – ანდრია.

## ანეკდოტები

გიდი: ამ ურნაში ერთ-ერთი ფარაონის ფერფლი ინახება.

ტურისტი: ვერასდროს წარმოვიდგენდი, ფარაონი თუ ასეთი თავგამოდებული მწეველი იქნებოდა.

* * *

სეროჟა ციხიდან წერილს სწერს დედას:

– დედიკო, ბავშვობაში რო მეუბნებოდი, ისეთი კაცი გაზრდილიყავი, შენ კარებთან დაცვა მდგარიყოსო, ხო შეგისრულე ნატვრა!..

* * *

სვანი გააჩერა ინსპექტორმა და ეუბნება:

– აკრძალვის ნიშანს ხომ ხედავ, ამ ქუჩაზე შესვლა არ შეიძლება!

– ნიშანი არ ვიცი მე, თუ არ შეიძლება, ლობე გააკეთეთ!

* * *

მიხო თანაკურსელთან ერთად პარკში სეირნობს:

– ნახე, ბიჭო! ის ლამაზი გოგო მე მიცინის!

– რა გიკვირს მერე? შენ რომ პირველად შემოხვედი აუდიტორიაში, მთელი კურსი გასკდა სიცილით...

## სკანვორდი






115

# სკანვორდი




ნელი ქარი

„U2"-ს სოლისტი

პირველი ნოტი

კერას ქურუმი ქალი

ფრანგული ხურდა

შავი ზღვის ძველი სახელი

... ბერიმორი

პირის ...

თაგვის სახლი

ფასდაკლება

გიორგი რუსის სახელი

წარმართ. სათაყვანო ფიგურა

შილას სუნელი

პროვინცია საფრან-გეთში

„ფანტომასი" – მსახიობი

უფილტრო სიგარეტი

სავსე მთვარე

შოკოლადის ნაკრები

ბატონი თურქულად

სურათების გამოფენა




... აფლეკი

ქალისა და ნელის სიმღერა

გავში „არა-ჩვეულებრივი გამოფენიდან"

ერთგვარი ბალჩეული მცენარე

დაფქვილი ხორბლის ნარჩენი

კვირის ბოლო დღე

პერუს დედაქალაქი




ფუფალას სატრფო

ერთგვარი სპორტი

ბერძნული სიმებიანი საკრავი

მობილურის ბარათი

პირის ღრუს ნაწილი

მორყეული ხის ქოხი

მუჰამედ ...

ქრისტიანობის გამავრცელებელი

## ის, რაზეც ამდენხანს ოცნებობდით!

მათ, ვინც შეაგროვა ბარათები 01, 02 და 03, დარეკეთ "ფან-კლუბის" რედაქციაში დღეს, 6 მარტს 19 სთ-ზე და შეხვდით "ქუჩის ბიჭებს" "ძალიან მაგარ კლუბში"!

**03** "ფან-კლუბი" №7, 2003

## აბა, გამოიცანი




ისინი, ვინც გამოიცნობთ ვინ არიან გამოსახულნი ამ ფოტოებზე, დაგვიკავშირდით ორშაბათს, 15 საათზე. ტელ: 98-95-79

## ყურადღება!

ნებისმიერი კითხვა, რომელიც გსურთ დაუსვათ თქვენთვის საყვარელ პიროვნებას და შესაბამისად მიიღოთ პასუხი, უნდა ჩააწერინოთ გაზეთ "ფან-კლუბის" ოპერატორს ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა 15-დან 16 სთ-მდე. წერილები კი გამოგზავნეთ მისამართზე: კოსტავას 14, მე-2 სართ., გაზეთი "ფან-კლუბი"